

ინკლუზიური პროფესიული განათლება - პრობლემები და პერსპექტივები

მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე, პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“, ბათუმი, საქართველო

Inclusive professional education - problems and prospects

Maia Toidze – Deputy Director, Vocational College “Black Sea”, Batumi, Georgia

Abstract

Introduction and aim. In Georgia, Inclusive education is one of the priority area more than 10 year. The model allows all people, regardless of their abilities and limitations, to receive education with the majority. Since 2013, the model of inclusive education was compulsory in vocational training programs.

All news is related to the challenges. This applies primarily to the state policy and then the practical implementation of process.

The article shows the main problems identified during the implementation of inclusive education, which inhibits this main purpose of the model - a perfect integration of persons with disabilities in the society. The aim of the research is by the persons with the special needs choosing the professions, properly planned issue of professional orientation.

Research Methodology. Professional orientation includes, information gathering, organizing and codifying about its own, the labor market and education opportunities.

The proforientation widely used tool Holland's research test, the study questionnaire career for consultation, persons with special needs and their parent/guardians and professional teacher interviews using a structured questionnaire is used for the peoples with special needs for choosing new professions.

Results and implications. The paper analyzes the graduates of vocational programs, vocational students and their parents/guardians testing and materials of the survey. How effective by the persons with special needs to choose a profession, what motives, what basic errors and negative factors revealed in the process of choosing their professions

Conclusion.. Are given recommendations regarding the settlement of certain problems.

Keywords. inclusive, professional, education, professional orientation, special needs

1. ინკლუზიური პროფესიული განათლება საქართველოში - ძირითადი მიღწევები

ინკლუზიური განათლება ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესია, რომელიც ითვალისწინებს პირის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, მიუხედავად იმისა, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებელი გააჩნია მას.

სალამანკას დეკლარაციამ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებათა კონვენციამ მნიშვნელოვნად შეცვალა სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანთა განათლებისადმი დამოკიდებულება და სათავე დაედო ინკლუზიური განათლების მოდელის საყოველთაოდ აღიარების პროცესს.

საქართველოში ინკლუზიური განათლება უკვე ათ წელზე მეტია განათლების რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აღნიშნული მოდელით სწავლება 2006 წელს სავალდებულო გახდა ზოგადი განათლების საფეხურზე, ხოლო 2013 წლიდან - პროფესიული განათლების საფეხურზეც.

ყოველგვარი სიახლე გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ეს ეხება პირველ რიგში სახელმწიფო პოლიტიკას და შემდეგ ამ პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების პროცესს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ნორვეგიის განათლების და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვის მიზნით არაერთი

წარმატებული ინიციატივა განხორციელდა, რომლებმაც საშუალება მისცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებს დაუფლებოდნენ გარკვეულ პროფესიებს/პროფესიულ კომპეტენციებს.

განხორციელებული რეფორმების შედეგად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისადმი ინდივიდუალური მიდგომები გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მიწოდების სხვადასხვა ეტაპზე: პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის პროცედურა ითვალისწინებს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ აპლიკანტის პიროვნული ფაქტორებისა და შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე პირისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებას (ან უარყოფას) და პროფესიული მოსინჯვის საფუძველზე აპლიკანტის ჩარიცხვას მის მიერ შერჩეულ პროფესიაზე. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სსსმ სტუდენტებისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით ფუნქციონირებს ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და სსსმ პირთა ასისტენტები. გარდა ამისა, განათლების სისტემაში დაინერგა სსსმ პირთა დამატებითი მხარდამჭერი სერვისები: ქესტური ენის თარჯიმნების მომსახურება სმენის დარღვევის მქონე სტუდენტებისათვის, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერების მომსახურება მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტებისათვის, სპეციალური ასისტენტების (ლაბორანტების) მომსახურება ინტელექტუალური და/ან მძიმე ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებისათვის, სატრანსპორტო საშუალების მქონე ასისტენტების მომსახურება ინტელექტუალური და/ან მძიმე ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებისათვის. ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსები და ხორციელდება ადამიანური რესურსების გაძლიერება სპეციალური განათლების აკადემიური პროგრამის დანერგვისა და სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირების მომზადების მიზნით სპეციფიკური საგანმანათლებლო კურსების ორგანიზების ფორმით.

2. ინკლუზიური პროფესიული განათლება საქართველოში - არსებული გამოწვევები

ინკლუზიურ პროფესიულ განათლებას საქართველოში ხანმოკლე ისტორია აქვს და მის წინაშე ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა.

შშმ პირთა მიერ პროფესიული განათლების მიღების საყოველთაობას ზღუდავს ის ფაქტი, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს მინიმუმ საბაზო განათლება, რაც პროფესიული განათლების მიღმა ტოვებს შესაბამისი განათლების არმქონე შშმ პირებს.

პრობლემას წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დამატებითი მხარდამჭერი სერვისების დროული მიწოდება. რეგიონებში ხშირ შემთხვევაში დეფიციტს წარმოადგენს მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის ტრენერი, ქესტური ენის თარჯიმანი, ბრაილის შრიფტის მცოდნე სპეციალისტი და სხვ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებამ აუცილებლად უნდა ისარგებლოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული სპეციფიკური საგანმანათლებლო კურსებით და შესაბამისი შეზღუდვის მქონე აპლიკანტის დაწესებულებაში რეგისტრაციისა და მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ აპლიკანტისათვის სსსმ პირის სტატუსის მინიჭება უპირობოდ უნდა იყოს შესაბამისი კადრის მოძიებისა თუ მომზადება/გადამზადების წინაპირობა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების მიწოდება იგეგმება ინდივიდუალურად მათი საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის ადაპტაციას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების მხარდაჭერით. მაგრამ პროფესიულ მასწავლებლებს ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ესაჭიროებათ უწყვეტი პროფესიული მომზადება/გადამზადება.

ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების დადებითი დინამიკის მაჩვენებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2013 წელს, პირველი მიღებისას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 53 პროფესიული სტუდენტი, 2014 წელს - 152, 2015 წელს - 223 პროფესიული სტუდენტი. სსსმ პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ზრდის მიუხედავად ინკლუზიური პროფესიული განათლების ძირითად გამოწვევას დღეისათვის წარმოადგენს კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014-2015 წლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით 2014 წელს დასაქმდა 18 (12%), ხოლო 2015 წელს - 2 (0.9%) კურსდამთავრებული.

დიაგრ.1

დასაქმების მაჩვენებლები 2014-2015 წლებში



წყარო: ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2016 წ.

2014 წელ კომპანია „აი ფი ემ - კვლევებმა“ ჩაატარა კვლევა „დამსაქმებლის დამოკიდებულებების შესწავლა შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა დასაქმების მიმართ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შშმ და სსსმ პირთა დასაქმების გამოცდილებისა და გამოცდილების არმქონე დამსაქმებლებმა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შშმ და სსსმ პირთა დასაქმების განმსაზღვრელი შემდეგი ფაქტორები:

- საქართველოში შშმ და სსსმ პირთა მიმართ დამსაქმებლის დამოკიდებულებას განაპირობებს დამსაქმებლის პიროვნული ფაქტორი;
- დამსაქმებლისა და შშმ და სსსმ პირის შეხვედრა შემთხვევითი ფაქტორებითაა განპირობებული და პროფესიული სასწავლებლებისა და სხვა ინსტიტუციების როლი ამაში მინიმალურია;
- შშმ და სსსმ პირთა დასაქმების გამოცდილების არმქონე დამსაქმებელს სუბიექტური წარმოდგენა აქვს შშმ და სსსმ პირების დასაქმებასთან დაკავშირებით. მათთვის შშმ და სსსმ პირის დასაქმება ძალიან რთული საკითხია;
- შშმ და სსსმ პირთა დასაქმების გამოცდილების მქონე დამსაქმებლისათვის ასეთი თანამშრომლის არსებობა სამსახურში, მის მიერ შესრულებული სამუშაო, კოლექტივთან ურთიერთობა და ადაპტაციის ხარისხი პრობლემებსა და განსაკუთრებულ ბარიერს კი არ ქმნის, არამედ მიჩნეულია წარმოების უპირატესობად;
- შშმ და სსსმ პირის მიერ წარმატებით შესრულებული სამუშაო მოტივატორია სხვა თანამშრომლებისათვის;

2.1. კვლევის მიზანი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების დაბალი სტატისტიკური მაჩვენებელი მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. დამსაქმებელი დასაქმების პროცესში ერთ-ერთ

მხარეს წარმოადგენს. საინტერესოა საკითხი, რამდენად აქვთ მზაობა სსსმ კურსდამთავრებულებსა და პროფესიული სტუდენტებს განახორციელონ ტრანზიცია პროფესიული მომზადებიდან სამუშაო ადგილზე, რა ბარიერებს ხედავენ ისინი დასაქმების პროცესში და რამდენად შეესაბამება მათ მიერ არჩეული პროფესია მათ ინტერესებს, მიდრეკილებებსა და შესაძლებლობებს.

პროფესია - ცოდნის, უნარ-ჩვევითა და კომპეტენციითა ერთობლიობაა, რომელთა ფლობა აუცილებელია გარკვეულ სფეროში შრომითი საქმიანობისათვის და რომელთა შექმნა შესაძლებელია სწავლის ან/და შესაბამის სფეროში საქმიანობის შედეგად.

„პროფესია სპეციალიზირებული, სასაქონლო დანიშნულების პროდუქციაზე ორიენტირებული შრომაა. წარმატებული კარიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ისეთი სამუშაო გარემოს მოძებნა, სადაც შესასრულებელი სამუშაო და მისთვის მიღებული ანაზღაურება ადამიანის მოტივაციური მოთხოვნილებების შესატყვისი იქნება. პროფესიული წარმატების მიღწევის მოტივაციის შესანარჩუნებლად აუცილებელია პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი პროფესია. „პროფესიონალის ჩამოყალიბების ძირითად სუბიექტურ ფაქტორს პიროვნების დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები წარმოადგენენ. ისინი ვლინდებიან სუბიექტის ცენტრალური ნერვული სისტემის ტიპოლოგიაში, პროფესიულ ინტერესებში, მიდრეკილებებსა და შემეცნებით უნარ-შესაძლებლობებში“¹.

პირის პროფესიული ადექვატურობა ფიქსირდება პიროვნების საქმიანი მახასიათებლების პროფესიის თავისებურებებთან შესატყვისობის მაჩვენებლებში, რაც შესაძლებელია გამოვავლინოთ ვალიდური პროფდიაგნოსტიკური მეთოდების (ტესტები, კითხვარები და სხვ.) გამოყენებით.

პროფესიის არჩევისა და კარიერის შექმნის პროცესების შესწავლა დღეს ერთ დისციპლინაში პროფესიულ ორიენტაციაში ერთიანდება. პროფესიული ორიენტაცია საკუთარი თავის, შრომითი ბაზრისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ორგანიზება და სისტემაში მოყვანაა.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მიერ პროფესიის არჩევის საკითხის შესწავლა პროფდიაგნოსტიკური ტესტებისა და სპეციალურად შედგენილი კითხვარის მეშვეობით, თუ რამდენად ითვალისწინებს სსსმ პირი პროფესიის არჩევისას საკუთარ ინტერესებსა და შესაძლებლობებს.

2.2. კვლევის მეთოდოლოგია

პროფესიული ორიენტაციის კონტექსტში ინტერესი გამოხატავს ადამიანის მოწონებას გარკვეული საქმიანობის მახასიათებლების მიმართ. პროფესიული ორიენტაციის სფეროში ყველაზე ხშირად სწორედ ინტერესების საკვლევი ინსტრუმენტები გამოიყენება. ინტერესების კატეგორიზების არაერთი გზა არსებობს. ინტერესთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გამოყენებადი კლასიფიკაცია შეიმუშავა ჯონ ჰოლანდმა, რომელმაც ინტერესები ექვს ჯგუფში გააერთიანა: რეალისტური, კვლევითი, შემოქმედებითი, სოციალური, ინიციატივანი და საკანცელარიო.

ჰოლანდის მეთოდის მიხედვით განასხვავებენ პროფესიების ექვს სახეს, რომელთა მოკლე აღწერილობა ასე გამოიყურება:

• **რეალისტური სფერო** - მოიცავს საქმიანობებს, რომლებიც სამუშაოს ხელით შესრულებას, შენობის გარეთ მუშაობას ან ფიზიკური ტიპის აქტივობას მოითხოვს. ამგვარი სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა პროდუქტიულობა და პრაქტიკულობა. ამასთან, ახასიათებს მუშაობის პრინციპული, მკაცრი, რისკიანი და გაბედული სტილი. რეალისტური ინტერესების მქონე ადამიანებს მოსწონთ ისეთი სამუშაო, როგორცაა: ავტომობილის შეკეთება, ტოპოგრაფია, ფერმერობა, ელექტრიკოსობა და ა.შ. როგორც წესი, მათ გააჩნიათ მექანიკური უნარები, მაგრამ აკლიათ სოციალური შესაძლებლობები, შესაბამისად, თავს

¹ პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლები, ნაწილი მეორე, თბ. 2008, გვ.10

არიდებენ ადამიანებთან ურთიერთობას. რეალისტურ ინტერესებს მიეკუთვნება მიდრეკილება ხელსაწყოების, მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების გამოყენების მიმართ.

• **კვლევითი სფერო** - ამ სფეროში შემავალი პროფესიები დასაქმებულისაგან კომპლექსური მეცნიერული პრობლემების ანალიზს, მათი გადაჭრის გზების ძიებას, საგნებისა და მოვლენების შესწავლასა თუ გაგებას მოითხოვს. შესაბამისად, კვლევით სფეროში სამუშაოდ აუცილებელია ანალიტიკური, ტექნიკური მეცნიერული უნარები, წერისა და ვერბალური გადმოცემის შესაძლებლობა და ა.შ. კვლევითი ინტერესების მქონე ადამიანებს მოსწონთ ისეთი პროფესიები, როგორებიცაა: ბიოლოგის, ქიმიკოსის, ფიზიკოსის, ანტროპოლოგის, გეოლოგის, სამედიცინო ტექნოლოგის, მკვლევარისა და სხვა. როგორც წესი, მათ გააჩნიათ საბუნებისმეტყველო კვლევითი უნარები, უყვართ კვლევა - ძიების გზით საკითხის გადაწყვეტა და ახლის აღმოჩენა, მაგრამ მოკლებულნი არიან ლიდერის თვისებებს.

• **შემოქმედებითი პროფესიები** - ხელს უწყობს ადამიანის შემოქმედებითობის, პიროვნული ინდივიდუალობის, ემოციის გამოხატვასა და ინტელექტუალურ აქტივობას წერის, მუსიკის, ხელოვნების საშუალებით. შემოქმედებითი ინტერესების მქონე ადამიანებს მოსწონთ ხელოვნებასთან დაკავშირებული საქმიანობები. როგორც წესი, მათ აქვთ შემოქმედებითი უნარები, მაგრამ მოკლებულნი არიან საკანცელარიო უნარებს, შესაბამისად, არ აინტერესებთ რუტინული, განმეორებადი, სტანდარტებს დაქვემდებარებული და ორგანიზებული სამუშაო.

• **სოციალური პროფესიები** - ადამიანებს აძლევს საშუალებას დაეხმაროს, ასწავლონ, მოემსახურონ სხვებს. სოციალური ინტერესების მქონე ადამიანებს მოსწონთ საზოგადოებრივი საქმიანობა. მათ აქვთ ინტერპერსონალური, თანაგრძნობის, სხვებისათვის რჩევის მიცემის უნარი, თუმცა მოკლებულნი არიან ტექნიკური და მექანიკური ტიპის შესაძლებლობებს.

• **ინიციატივანი პროფესიები** - დასაქმებულისაგან სხვების მართვას, მათ ქცევაზე ზემოქმედების მოხდენას, მათ დარწმუნებასა და სხვა მსგავსი აქტივობების განხორციელებას მოითხოვს. ამგვარი სამუშაოს შესრულებისათვის კი აუცილებელია თავდაჯერებულობა, რისკიანობა, მაღალი პასუხისმგებლობა, მიზნის მიღწევისაკენ თავდაუზოგავი სწრაფვა და გაბედული მოქმედება. ინიციატივანი ინტერესების მქონე ადამიანებს მოსწონთ სამუშაო, რომელიც ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას იძლევა: გამყიდველის, მენეჯერის, გაყიდვების სპეციალისტისა და სხვა.


• **საკანცელარიო საქმიანობები** - მოიცავს ორგანიზებულ, დაგეგმილ აქტივობებს. ამგვარი პროფესიები დასაქმებულისაგან სიზუსტეს, რიცხვებთან და ტექნიკასთან მუშობას, მოწესრიგებული რუტინით, სტანდარტებით ხელმძღვანელობასა და თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. საკანცელარიო ტიპის ადამიანებს აქვთ ადმინისტრაციული უნარები, მაგრამ მოკლებული არიან შემოქმედებითობას.

წინამდებარე კვლევის მიზანია ჰოლანდის მეთოდის გამოყენებით შემოწმდეს რამდენად შეეფერება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე პირთა მიერ არჩეული პროფესია მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებს. პროფესიის არჩევის მოტივების, საკუთარის პროფესიისადმი და დასაქმების პროცესისადმი მათი დამოკიდებულების შესწავლის მიზნით დამატებით გამოყენებულია ინტერვიუების მეთოდი.

კვლევაში (ტესტირება და ინტერვიუება) მონაწილეობა მიიღო 40 პირმა. მათ შორის, 15 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულია, 15 - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირი და 10 - კურსდამთავრებულის მშობელი.

გამოკვლევის პროცესში ჩართულ პირებს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ დადასტურებული ჰქონდათ სხვადასხვა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება



ჰოლანდის მეთოდით ტესტირება გაიარა 15 პროფესიულმა სტუდენტმა. ცდისპირთა მინიმალური ასაკი - 16 წელი, მაქსიმალური ასაკი - 32 წელი. ტესტირებისათვის გამოყენებული იქნა ვებგვერდზე [www. myprofession.ge](http://www.myprofession.ge) განთავსებული ჰოლანდის ელექტრონული ტესტი. ტესტირების დროს ცდისპირები აფასებდნენ პროფესიებს 4 ძირითადი მიმართულებით:

1. საქმიანობები რომელსაც სიამოვნებით შეასრულებდნენ და რომლის შესრულებაც არ მოსწონთ, ან რომლის მიმართაც ნეიტრალური (ინდიფერენტული) დამოკიდებულება აქვთ.
2. საქმიანობები, რომლის შესრულებასაც პირი კარგად და კომპეტენტურად შეძლებდა ან რომელსაც არ შეასრულებდა ან ცუდად შეასრულებდა.
3. საქმიანობათა შეფასება - რომელი პროფესია წარმოუდგენიათ ან არ წარმოუდგენიათ საკუთარ პროფესიად.
4. საკუთარი თავის შეფასება 12 უნარის მიხედვით: მექანიკური უნარი, მეცნიერული უნარი, შემოქმედებითი უნარი, პედაგოგიური უნარი, კომერციული უნარი, საკანცელარიო უნარი, ხელსაქმის უნარი, მათემატიკური უნარი, მუსიკალური უნარი, თანაგრძნობის უნარი, მენეჯერული უნარი, ადმინისტრაციული უნარი.

ჰოლანდის მეთოდის გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან გარკვეულ სპეციფიკას მოითხოვს. ტესტირების პროცესში საჭირო გახდა დავრწმუნებულიყავით რამდენად სწორად ესმოდა ზოგიერთ ცდისპირს ტესტის საკვანძო შემდეგი ფრაზები: „საქმიანობა მომწონს“/, „საქმიანობა არ მომწონს“/, „საქმიანობის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს“; „ამ საქმიანობის შესრულებას კარგად შევძლებდი ან არ შევასრულებდი ან ცუდად შევასრულებდი“; „ავირჩევდი საკუთარ პროფესიად ან არ ავირჩევდი“; „უნარი მაქვს განვითარებული ან არ მაქვს განვითარებული“ და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდა ტერმინთა განმარტება. ასევე, საჭირო გახდა ინსტრუქტაჟი პროფესიებთან დაკავშირებით, ცდისპირები არ იცნობდნენ ბევრ პროფესიას და მათ მოკლედ მიეწოდებოდათ ინფორმაცია პროფესიათა აღწერილობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის დიაგნოზის მქონე სამ პირთან მეთოდის ვერ იქნა გამოყენებული. ტესტირების პროცესში მათი პასუხების არასტაბილურობიდან გამომდინარე მიღებული შედეგები არარელევანტურად იქნა მიჩნეული.


2.3. კვლევის შედეგები

ცდისპირთა ტესტირების საფუძველზე გამოვლენილი შედეგი - „პირისათვის შესაბამისი პროფესია/პროფესიები“ სსსმ პროფესიულ სტუდენტების მიერ არჩეულ პროფესიას დაემთხვა მხოლოდ ოთხი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში (27%), ხოლო ცდისპირთა 53% -ს ტესტირების შედეგად

შესაფერის პროფესიებად დაუფიქსირდათ მათ მიერ არჩეული პროფესიისაგან განსხვავებული პროფესიები. პროფესია საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით არჩეული აქვთ ფიზიკური შეზღუდვის, კომუნიკაციის პრობლემის და მრავლობითი დარღვევის (ქცევა/ემოცია) მქონე პირებს. არც ერთ მათგანს არ უფიქსირდება ინტელექტუალური შეზღუდვა.

დიაგრ. 2

ტესტირების შედეგების შესაბამისობა, პროფესიული სტუდენტის მიერ არჩეულ პროფესიასთან




ტესტირების შედეგად მიღებული შედეგები გაანალიზებული იქნა იმის მიხედვით თუ როგორ განხორციელდა პროფესიული სტუდენტების ინტერესების, შესაძლებლობების და სამუშაო სფეროების კატეგორიზება პროფესიათა მიმართულებების (რეალისტური, კვლევითი, შემოქმედებითი, სოციალური, ინიციატივიანი და საკანცელარო) მიხედვით. დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტების 53%-ის შემთხვევაში მათ მიერ არჩეული პროფესიის მიმართულება შეესაბამება მათ ინტერესებს, ანუ, გარდა ზემოაღნიშნული ოთხი სტუდენტისა კიდევ სამ სტუდენტთან ტესტირების შედეგად გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც შეესაბამება მათ მიერ არჩეული პროფესიის მიმართულებას. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით უფრო სიღრმისეული პროფორიენტაციის გაგრძელების შემთხვევაში შესაძლებელი იყო გაკეთებულიყო სხვა არჩევანი.

ჰოლანდის მეთოდიკის პარალელურად რამდენიმე ცდისპირთან დამატებით გამოყენებული იქნა პიროვნების საკვლევი კითხვარი კარიერული კონსულტაციისათვის. აღნიშნული მეთოდიკის გამოყენება რთულად წარიმართა ინტელექტუალური შეზღუდვისა და ყურადღების დეფიციტის მქონე სტუდენტებთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდიკამ ძალიან საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა სტუდენტების ძლიერი და განსავითარებელი მხარეებისა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამუშაო გარემოსთან მათ შესაბამისობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სსსმ აპლიკანტებთან საპროფორიენტაციო მუშაობისას ამ მეთოდების კომბინაციაში გამოყენება მრავალმხრივ ინფორმაციას მოგვცემს, რაც დაეხმარება სპეციალისტს პროფკონსულტირების პროცესში.

ტესტირების შემდეგ განხორციელდა სსსმ პირთა ინტერვიუება სპეციალურად შედგენილი კითხვარით, რომლითაც შესწავლილი იქნა პროფესიის არჩევის მოტივაციური საფუძველი, შშმ პირთა მიერ პროფესიის არჩევის პროცესში საკუთარი ფსიქოფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინების საკითხი და მათი დამოკიდებულება დასაქმების საკითხის მიმართ, თუ რამდენად ოტივირებულნი არიან ისინი დასაქმების ობიექტზე ტრანზაციისადმი.

ინტერვიუების პროცესში მონაწილეობა მიიღო 40 პირმა: 15 სსსმ პროფესიული სტუდენტი, 15 სსსმ კურსდამთავრებული და და 10 კურსდამთავრებულის მშობელი.

პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და შესაძლებლობების და სამუშაო სფეროების კატეგორიზაცია პროფესიათა მიმართულებების მიხედვით




პროფესიული თვითგამორკვევა რთული და მრავალმხრივი პროცესია.. ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანების, განსაკუთრებით მოზარდების, უმრავლესობა ამ ინფორმაციას ვერ ფლობს და ხდება პროფესიის სტიქიურად არჩევა. გამოყოფენ პროფესიის არჩევის დროს დამახასიათებელ შემდეგ შეცდომებს: ადამიანებისადმი დამოკიდებულების პროფესიებზე გადატანა, მასობრივი კვალიფიკაციების შესახებ ცუდი წარმოდგენები, საკუთარი ნიჭისა და მიდრეკილების ობიექტურად შეფასების უუნარობა, პროფესიის შემთხვევითი არჩევა სხვათა ზეგავლენით, როცა პირს არ აქვს ჩამოყალიბებული პროფესიული ინტერესები და მისთვის სულერთია რა პროფესიას აირჩევს და საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობა.

ჩვენი რესპონდენტების უმრავლესობამ (30%) არჩევანი გააკეთა მშობლის რჩევით. ხშირ შემთხვევაში რესპონდენტები აფიქსირებდნენ, რომ მშობელმა ურჩია პროფესია და ისიც დაინტერესდა. თუმცა დაფიქსირდა ორი ფაქტი, როცა რესპოდენტებმა არჩევანი გააკეთეს მშობლის ავტორიტარული ზეგავლენით, რომელმაც არ გაითვალისწინა მათი ინტერესი.

დიაგრ.4

პროფესიის არჩევის მოტივები




რესპონდენტთა 20% მიიჩნევს, რომ პროფესია აირჩია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა ექვსიდან სამ შემთხვევაში არჩეული იყო ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალობა, მხოლოდ იმიტომ, რომ რესპოდენტს აინტერესებდა კომპიუტერთან ურთიერთობა და არც ერთ შემთხვევაში არ იყო

გააზრებული თუ როგორ უნდა გამოეყენებინა მას ეს პროფესია, რა სამუშაო გარემოში მოუწევდა მუშაობა. შესაბამისად, არც ერთი აღნიშნული კურსდამთავრებული არ არის დასაქმებული და არც აპირებენ ამ მიმართულებით მუშაობას.

გამოკითხული რესპოდენტების 13%-მა (4 რესპოდენტი) პროფესიის არჩევის მოტივად დაასახელა საკუთარი შეზღუდული შესაძლებლობა და მიიჩნევენ, რომ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შერჩეული პროფესიით დასაქმდებიან/დასაქმდნენ ან შეძლებენ თვითდასაქმებას.

ინტერვიუების პროცესში მონაწილეობა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 15 სსსმ კურსდამთავრებულმა. მათი დასაქმების სტატისტიკა ასე გამოიყურება.

დიაგრ. 5



დადგინდა, რომ ორმა თვითდასაქმებულმა პროფესიის არჩევისას სწორად გაიაზრა თავისი დასაქმების შესაძლებლობები. კერძოდ, ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირი თვითდასაქმებულია ინფორმაციული ტექნოლოგიის მიმართულებით (Microsoft Windows ოპერაციული სისტემის ინსტალაცია - კონფიგურირება), ხოლო მეორე თვითდასაქმებულმა აირჩია მშობლის პროფესია და მისი ზედამხედველობით ასრულებს სამშენებლო სარემონტო სამუშაოებს. ორმა კურსდამთავრებულმა ვეღარ შეძლო თავისი პროფესიით მუშაობის გაგრძელება, ვინაიდან ვერ გაუძლეს მზარეულის პროფესიისათვის ტიპიურ სამუშაო გარემოში მუშაობას.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა არ მუშაობს თავისი პროფესიით და არც ყოფილა დასაქმებული. ამასთან, გამოკითხული კურსდამთავრებულებისა და პროფესიული სტუდენტების 40% თვლის რომ არასწორად აირჩია პროფესია და აპირებს მის შეცვლას. ოცდაათიდან 4 სსსმ პირს უკვე მეორედ, ხოლო ერთს მესამედ აქვს შეცვლილი პროფესია. გამოვლინდა პროფესიის შეცვლის ორი მიზეზი: 1. პირველ ეტაპზე პროფესია არასწორად იყო არჩეული და განხორციელდა მისი შეცვლა. 2. სამი კურსდამთავრებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას დაუბრუნდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი ფორმით მომხდარიყო მისი საზოგადოებაში ინტეგრირება და არც მოზარდი სსსმ პირი და არც მისი მშობელი აქცენტირებას არ აკეთებენ დასაქმების პროცესზე.

დაუსაქმებელი კურსდამთავრებულებისა და მათი მშობლების ინტერვიუების თვისებრივი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული და მისი მშობელი, რომლებიც თვლიან რომ პროფესია სწორად აქვთ არჩეული, არიან დაინტერესებული დასაქმებით, ყველა სხვა შემთხვევაში სამუშაოს მოძიების პროცესი არ განხორციელდებულა.

ინკლუზიური პროფესიული განათლება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება წარმატებულ მოდელად თუკი სახელმწიფოს მხრიდან თანმიმდევრული, გეგმაზომიერი პოლიტიკის საფუძველზე გაიზრდება მომზადებულ/გადამზადებულ შშმ პირთა დასაქმების სტატისტიკური მაჩვენებელი. ქვეყანაში საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებაში არ არის მაღალი. შშმ პირთა დასაქმებას ზოგ შემთხვევაში ხელს უშლის ორგანიზაციაში ადაპტირებული გარემოს არარსებობა

და დამსაქმებლის მზაობის შემთხვევაშიც კი ვერ ხერხდება პირის დასაქმება. დასაქმების პროცესს „ასევე, ხელს უშლის ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა. კურსდამთავრებული არ აპირებს დასაქმებას, რადგან აცნობიერებს სატრანსპორტო გადაადგილების სირთულეს.

დასაქმების საკითხთან დაკავშირებით კურსდამთავრებულებთან და მათ მშობლებთან გამოიკვეთა ასეთი დამოკიდებულება: მათ უმრავლესობას აქვს პოზიცია, რომ დასაქმება მათზე კი არა საზოგადოებაზეა დამოკიდებული და ანკეტებში ხშირად განმეორდა ფრაზები: „გააჩნია რას შემომთავაზებენ“, „შევიცვლიდი პროფესიას თუ დამსაქმებენ“, „არ არის დასაქმებული, არაფერი შემოუთავაზებიათ“.

სწავლის საფეხურიდან დასაქმებაზე გადასვლა (ტრანზიცია) ცხოვრების წესის ცვლილებას უკავშირდება. ის ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი კრიტიკული და დინამიური პროცესია. ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა (იტგ), რომლის დანერგვაც უახლოესი დროის პერსპექტივაა, ასახავს კონკრეტული ადამიანისა და მისი მხარდამჭერი გუნდის თანმიმდევრული საგანმანათლებლო მუშაობის პროცესს, რომლის მიზანი დასაქმების ადგილზე მოქნილი გადასვლისათვის ხელშემწყობი, დროული მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება და პიროვნების საჭირო მომსახურებით უზრუნველყოფაა. სსსმ პირთა ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შედგენის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული წინამდებარე კვლევის შედეგები. დასაქმებასთან დაკავშირებული ყველა ზემოაღნიშნული მსჯელობა დამდგარი შედეგის მიზეზების შესახებ წარმართა გარეგანი ატრიბუციის საფუძველზე, რომ დასაქმება დამოკიდებულია იღბალზე, დამსაქმებელ ორგანიზაციაზე, დამსაქმებლის პიროვნულ ფაქტორზე და არა მათზე. ატრიბუცია გავლენას ახდენს მოტივაციაზე. ამიტომ სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან, მათ მშობლებთან ჯერ კიდევ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პროცესში არის საჭირო მუშაობა, რათა მათი გარეგანი ატრიბუცია შეიცვალოს შინაგანი ატრიბუციით (მათი ინიციატივანობა, ოსტატობა/კვალიფიკაცია). ამისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას ჩარევის ე. წ რეორიენტაციის მეთოდი. მაგ: ცნობილია, რომ წარმატებული კარიერის დაგეგმვის რეალური მაგალითები ხელს უწყობს შინაგანი ატრიბუციის ჩამოყალიბებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰოლანდის მეთოდიკით ტესტირების შედეგად მიღებული შედეგები გაანალიზებული იქნა იმის მიხედვით თუ როგორ განხორციელდა პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და შესაძლებლობების და სამუშაო სფეროების კატეგორიზება პროფესიათა მიმართულებების შესაბამისად. ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობას შეესაბამებოდა პროფესიები ინტერესთა რამდენიმე ჯგუფიდან, უმეტესად, 3 მიმართულებით. შესაბამისად, შემდგომი პროფორინტაციის პროცესი სწორედ ინტერესთა ამ ფართო სპექტრიდან მისი კონკრეტიზაციის მიმართულებით უნდა წარმართოს აპლიკანტის შესაძლებლობებისა და პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

არსებული კანონმდებლობის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება ალტერნატიული ჩარიცხვის წესით. სსსმ პირი უფლებამოსილია აირჩიოს სამი პროგრამა და საბოლოო გადაწყვეტილება პროფესიული მოსინჯვის შემდეგ მიიღოს. პროფესიული მოსინჯვა გულისხმობს შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესაბამისი აქტივობების პრაქტიკულ განხორციელებას. პროფესიულ მოსინჯვას მოჰყვება რეფლექსია, რომლის საფუძველზეც სსსმ აპლიკანტი დებულობს გადაწყვეტილებას და ირჩევს პროფესიას. ვინაიდან ერთი და იმავე მიმართულების პროგრამებზე ერთიანი ეროვნული პროფესიული ტესტირება ტარდება ერთ და იმავე საგნებში არსებული ჩარიცხვის წესი უფლებას აძლევს ყველა აპლიკანტს, მათ შორის სსსმ აპლიკანტს, რეგისტრაციის პროცესში აირჩიოს პროფესიები მხოლოდ ერთი და იმავე მიმართულების ფარგლებში (მაგ: ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიის, IT მიმართულების, აგრარული და სხვ). შესაბამისად, რეგისტრაციის აღნიშნული წესი, არ აძლევს საშუალებას სსსმ პირს მოსინჯოს პროფესიები სხვადასხვა მიმართულებიდან, როცა რეალურად მას შეიძლება ერთი და იმავე სიძლიერის ინტერესები და შესაძლებლობები გააჩნდეს მათ მიმართ. იქედან გამომდინარე, რომ სსსმ პირები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ირიცხებიან ალტერნატიული ჩარიცხვის წესის - პროფესიული მოსინჯვის საფუძველზე ამ წესის მათზე გავრცელება არ არის აუცილებელი და მისი შეცვლის შემთხვევაში ზედმეტი ბარიერები მოეხსნებათ სსსმ პირებს

პროფესიის არჩევის დროს, როცა მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით არჩევანი ისედაც შეზღუდული აქვთ.

კვლევებმა აჩვენა, რომ სსსმ პირთა მიერ ხშირ შემთხვევაში პროფესია არჩეულია მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებლად. შესაბამისად, შშმ პირებთან საპროფორიენტაციო მუშაობა უნდა წარიმართოს მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებით (საპროფორიენტაციო ტესტები, ღია ინტერვიუ შშმ პირთან და მშობელთან/მეურვესთან, პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა). სასურველია კანონმდებლობით სავალდებულო პროფესიულ მოსინჯვამდე შშმ პირს საპროფორიენტაციო ტესტების, ინტერვიუს საფუძველზე გამოვლენილი მისთვის შესაბამისი პროფესიების მოსინჯვის შესაძლებლობა მიეცეს ორგანიზაციაში, რეალურ სამუშაო გარემოში, რათა პირმა კარგად გაიაზროს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისობა მომავალ სამუშაო გარემოსთან.

გამოყენებული წყაროები

- [1] გერიგი რიჩარდ, ზიმბარდო ფილიპ ფსიქოლოგია და ცხოვრება //თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009
- [2] გოგიჩაიშვილი თ. ფსიქოლოგია // თბილისი. 1996, გვ. 89-90
- [3] აირჩიე პროფესია // სახელმძღვანელო, მომზადებულია ადამიანური რესურსების ცენტრის (PMC) მიერ, თბილისი. 2013
- [4] დაასაქმეთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები და განაპირობეთ უკეთესი მომავალი - საინფორმაციო ბუკლეტი დამსაქმებლებისათვის // საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი.
- [5] ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში //საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო, თბილისი. 2014-2015
- [6] პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლები, ნაწილი I-II //დასაქმებაზე ინფორმაციის, კონსულტაციისა და მიმართვის ცენტრი (IOM), თბილისი. 2008
- [7] უნარშეზღუდული ბავშვების სოციალური ინტეგრაციის პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო ასპექტები // თბილისი. 2002
- [8] <http://myprofession.ge>